



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება №158

2011 წლის 18 ნოემბერი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამოფენისათვის ქ. თბილისიდან, კერძოდ სამხატვრო აკადემიიდან ექსპონატების ჩამოტანა-ჩატანის უზრუნველსაყოფად სატრანსპორტო მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 14 ნოემბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110029034) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ქ. თბილისიდან, კერძოდ სამხატვრო აკადემიიდან ექსპონატების ჩამოტანა-ჩატანის უზრუნველსაყოფად სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვაზე, რომელსაც 2011 წლის 18 ნოემბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. ექსპონატების ჩამოტანა დაგეგმილია 19 ნოემბერს, ხოლო ჩატანა 26 ნოემბერს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამოფენისათვის ქ. თბილისიდან, კერძოდ სამხატვრო აკადემიიდან ექსპონატების ჩამოტანა-ჩატანის უზრუნველსაყოფად სატრანსპორტო მომსახურების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

